

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის
ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 33

1 სექტემბერი, 2006 წელი
ქ. თბილისი

სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

“მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” 2005 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 31 მაისის № 530 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დროებითი წესდების” მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე ვბრძანებ:

1. 2006 წლის 5 სექტემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად **დანართის** შესაბამისად.

2. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს პრესაში, ბრძანება განთავსდეს ინსტიტუტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდებზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას ინსტიტუტის შენობაში.

ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია